

## ინფრაჭითელი სპექტრული მეთოდით ფანიანობის განსაზღვრის მოდელის შესახებ

ციური ნოზაძე, რომან სამხარაძე, ლია გაჩეჩილაძე,  
თამარ როსნაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია მასალებში კომპონენტების განსაზღვრის ინფრაჭითელი სპექტრული მეთოდი, რომელიც ეფუძნება განსასაზღვრი კომპონენტის მიერ ინფრაჭითელი გამოსხივების შთანთქმის ან არეპლის უნარს. ამასთან, სხვადასხვა კომპონენტისათვის არსებობს სხვადასხვა მგრძნობელობის დიაპაზონი, სადაც უკეთესად გამოვლინდება კომპონენტის არსებობა. მგრძნობელობის დიაპაზონისა და კომპინენტის რაოდენობრივი შემცველობის მათემატიკური მოდელის დასაღენად ჩამოყალიბებულია ექსპერიმენტული კვლევის ეტაპები. დამუშავებულია ექსპერიმენტული კვლევების ზოგადი პროცედურული მოდელი.


**საკვანძო სიტყვები:** ინფრაჭითელი სპექტრული მეთოდი. მათემატიკური მოდელი. ოპტიკურ მაჩვენებელი. ექსპერიმენტული პროცედურა.

### 1. შესავალი

ინფრაჭითელი სპექტრული მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია პრაქტიკაში სხვადასხვა სტრუქტურის მასალებსა თუ ნივთიერებებში არსებული სხვადასხვა კომპონენტების (ფიზიკურ-მექანიკური, ქიმიური) რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზისათვის. სპექტრული მეთოდის უპირატესობა ანალიზის ფიზიკურ და ქიმიურ მეთოდებთან შედარებით მდგომარეობს კომპონენტების სწრაფი, ზუსტი და უკონტაქტო გაზომვის შესაძლებლობაში.

### 2. ძირითადი ნაწილი

მასალების სპექტრული თვისებებიდან გამომდინარე სპექტრული მეთოდით კომპონენტების გაზომვის თავისებურება ინფრაჭითელი გამოსხივების გარკვეულ დიაპაზონში ამა თუ იმ კომპონენტის მიერ გამოსხივების შთანთქმის ან არეპლის უნარში მგომარეობს. კონკრეტულ მასალაში კონკრეტული კომპონენტისათვის არსებობს მგრძნობელობის ზოლი - გარკვეული ტალღის სიგრძე ( $\lambda$ ), სადაც უკეთესად იკვეთება კომპონენტის მიერ ინფრაჭითელი გამოსხივების შთანთქმის ან არეპლის უნარი - მაგალითად, წყლისთვის  $\lambda = 1,95 \div 1,75$  მკ.მ-ა (ნახ. 1).



ნახ.1. წყლის შთანთქმის სპექტრი ახლო ინფრაჭითელ ზოლში.

ასევე, მასალის სპეცტრომეტრული თვისებებიდან გამომდინარეობს, რომ თითოეული კომპონენტისათვის არსებობს მგრძნობელობის განკვეული ზოლი ( $\lambda_f - \lambda_h$ ), რომელშიც უკეთესად გამოჩნდება მოცემული კომპონენტის არსებობა. ამასთან, ასევე ცნობილია, რომ გასაზომი კომპონენტის რაოდენობრივი მაჩვენებელი გარკვეულ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია ოპტიკურ მაჩვენებელთან, კერძოდ:

$$P=f(G)$$

სადაც,  $P$  - კომპონენტია;  $G$  - ოპტიკური მაჩვენებელია ( $G = R_{\lambda,a} / R_{\lambda,p}$ , სადაც  $R$  - გამტარობის ან შტანთქმის რაოდენობაა);  $F$  - ფუნქციონალური დამოკიდებულება.

სპეცტრული მეთოდის ანალიზი აჩვენებს, რომ კონკრეტულ მასალაში კონკრეტული კომპონენტის განსაზღვრა მოიცავს რამდენიმე ეტაპს. პირველ ეტაპზე მოცემული კომპონენტისათვის განისაზღვრება მგრძნობელობის ზოლის ( $\lambda_f - \lambda_h$ ) მასალის სხვადასხვა ნიმუშზე სხვადასხვა ტალღის სიგრძეზე ჩატარებული ექსპერიმენტების საშუალებით. ექსპერიმენტების შედეგების მიხედვით შეირჩევა მაქსიმალური მგრძნობელობის ( $\lambda_a$  - ანალიზური) და მინიმალური მგრძნობელობის - ნულთან მიახლოებული ( $\lambda_r$  - უკარისული) ტალღის სიგრძეები.

შეძლევ ეტაპზე მოცემულ მასალაში მოცემული კომპონენტისათვის განისაზღვრება ოპტიკური მაჩვენებლი G:

$$G = R_{\lambda,a} / R_{\lambda,p}$$

სადაც  $R$  - კომპონენტის მიერ გამტარობის ან შთანთქმის რაოდენობაა.

ცნობილია, რომ გასაზომი კომპონენტი ოპტიკურ მაჩვენებელთან გარკვეულ ფუნქციონალურ ( $F$ ) დამოკიდებულებაშია. ამ დამოკიდებულების განსაზღვრა ასევე ხორციელდება ექსპერიმენტული მეთოდით გარკვეული წესით მომზადებულ მასალის მრავალ ნიმუშზე.

მაგალითად, ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ ტენის კომპონენტისათვის მგრძნობელობის ზოლი მდებარეობს  $1,95 \div 1,75$  მკ.მ-ს შორის, ხოლო დამოკიდებულება ოპტიკურ მაჩვენებელსა და ტენის შორის, ანუ ტენის განსაზღვრის მოდელი, ლოგარითმულია და ასეთი სახე აქვს:


$$W = a + k \ln | \Pi - b |$$

სადაც  $a, b, k$  კოეფიციენტები, რომლებსაც სხვადასხვა მასალისათვის სხვადასხვა მნიშვნელობები აქვს.

კონკრეტულ მასალაში ტენის განსაზღვრის მოდელისათვის  $a, b, k$  კოეფიციენტების მნიშვნელობებიც ექსპერიმენტებით განისაზღვრება.

სპეცტრული მეთოდით სხვადასხვა მასალებში სხვადასხვა კომპონენტების განსაზღვრის ანალიზიდან იკვეთება ექსპერიმენტული პროცედურების შემდეგი თანმიმდევრობა:

- მოცემულ მასალაში საანალიზო კომპონენტის მგრძნობელობის ზოლის განსაზღვრის პროცედურა;
  - მგრძნობელობის ზოლში ოპტიკური მაჩვენებლის განსაზღვრის პროცედურა;
  - გასაზომ კომპონენტსა და ოპტიკურ მაჩვენებელს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულობის (მათემათიკური მოდელის) განსაზღვრის პროცედურა;
  - მიღებული მოდელის კონკრეტულ პირობებში გამოცდის პროცედურა.
- უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ექსპერიმენტული პროცედურა მოიცავს თითქმის ერთი და იგივე სამუშაოებს, რომელიც ასე შეიძლება წარმოვადგინოთ (ნახ.2).



ნახ.2. ექსპერიმენტული კვლევების პროცედურული მოდელი.

### 3. დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ პროცედურულ ეტაპზე სამუშაოს შესრულება მოითხოვს ექსპერიმენტულ კვლევას, რომელიც ხანგრძლივი და შრომატევადი საქმიანობაა. ამასთან იკვეთება: ექსპერიმენტისათვის ნიმუშების მომზადების ერთგვაროვნება; ექსპერიმენტების შესრულების ერთგვაროვანი ტექნოლოგია, მონაცემების ერთნაირი ტიპი, მონაცემების დამუშავების ერთნაირი მეთოდი, რაც ექსპერიმენტულ კვლევებში კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებებისა და მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა.

#### ლიტერატურა:

1. სამხარაძე რ., ნოზაძე ც., როსნაძე თ. (2014). ექსპერტული სისტემის სტრუქტურა ინფრასტრუქტურით ტექნოლოგიისათვის. გორის სახელმწიფო საინჟინერო უნივერსიტეტი, საქართველო, მე-5 საერთაშ. კონფ., „ახალი ტრენდები განათლებაში: კვლევა და განვითარება“.
2. ნოზაძე ც. (2010). ექსპერიმენტული კვლევების ავტომატიზირებული ტექნოლოგიები ინფრასტრუქტურით ტექნოლოგიების მე-2 საერთაშ. სამეცნ. კონფ., „თანამედროვე აქტუალური სამეცნიერო საკითხები“, სუმიშვილების უნივერსიტეტი, გამომცემლობა „უნივერსალი“
3. Нозадзе Ц. (2008). Разработка унифицированных структур ПОК для реализации автоматизированных технологий в научных исследованиях. Диссертация на соискание академической степени доктора наук. Тбилиси, 0175, Грузия, г.

**ABOUT THE MODEL OF DETERMINING MOISTURE USING INFRARED  
SPECTROSCOPIC METHOD**

Nozadze Tsuri, Samkharadze Roman, Lia Gachechiladze,

Rosnadze Tamar

Georgian Technical University

**Summary**

Paper proposes spectral method for determination of components in materials, which is based on the method of absorption or reflection component of infrared radiation. However, different components have different ranges of sensitivities, in which appears existence of a component. To build a mathematical model of the range of sensitivity and the quantity of the component defined stages of experimental researches. Is developed a general procedural model of experimental researches.

**О МОДЕЛИ ОПРЕДЕЛЕНИЯ ВЛАЖНОСТИ МЕТОДОМ ИНФРАКРАСНОЙ  
СПЕКТРОСКОПИИ**

Нозадзе Ц., Самхарадзе Р., Гачечиладзе Л.,

Роснадзе Т.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассмотрен инфракрасный спектральный метод определения компонентов в материалах, который основан на способ поглощения или отражения компонентом инфракрасного излучения. При этом, для разных компонентов существуют разные диапазоны чувствительностей, где наилучшим способом проявляется наличие компонента. Для построения математической модели диапазона чувствительности и количественного содержания компонента определены этапы экспериментальных исследований. Разработана общая процедурная модель экспериментальных исследований.